ტრენინგები ცესკოს კონტაქტ ჰაბის ოპერატორებისთვის

სწავლების ცენტრმა, მუნიციპალიტეტის ორგანოთა 2021 წლის 2 ოქტომბრის არჩევნებისთვის, ცესკოს კონტაქტ ჰაბის ოპერატორების გადამზადების კურსი ორ ეტაპად განახორციელა.

ოპერატორების მიერ კვალიფიციური სერვისის განხორციელების ხელშეწყობის მიზნებისთვის, მიმდინარე წლის 9 აგვისტოს ჩატარებული ტრენინგების I ეტაპზე, მონაწილეები დეტალურად გაეცნენ არჩევნებში ჩართული მხარეების რეგისტრაციის წესსა და პროცედურებს:

- მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს - საკრებულოს წევრობის კანდიდატის, პარტიული სიებისა და მუნიციპალიტეტის მერობის კანდიდატის წარდგენა/რეგისტრაცია/რეგისტრაციის გაუქმება;
- საარჩევნო სუბიექტების (პარტიები/საინიციატივო ჯგუფები) წარმომადგენლების რეგისტრაცია;
- დამკვირვებელი ორგანიზაციებისა და დამკვირვებლების რეგისტრაცია;
- მედიის წარმომადგენელთა აკრედიტაცია.

2021 წლის 28 სექტემბერს ჩატარდა ტრენინგის II ეტაპი, რომლის ფარგლებში მონაწილეები დეტალურად გაეცნენ კენჭისყრის დღისთვის ახალი კორონავირუსით გამოწვეული ინფექციის პრევენციის უზრუნველსაყოფად განსახორციელებელ ღონისძიებებს და კენჭისყრის დღის პროცედურებს, მათ შორის:

- საარჩევნო უბნის გახსნა და კენჭისყრის დაწყებამდე ჩასატარებელი პროცედურები;
- კენჭისყრის პროცესი;
- ამომრჩეველთა პერსონალური მონაცემების დაცვა და ფოტო-ვიდეოგადაღების რეგულაციები;
- საარჩევნო უბნის დახურვა, საარჩევნო ყუთების გახსნა და ხმის დათვლის პროცედურები;
- კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი ოქმის შედგენა;
- კენჭისყრის დღის განცხადებების/საჩივრების რეგისტრაცია.

ტრენინგის მონაწილეები ასევე გაეცნენ N4 კრწანისის საარჩევნო ოლქში ზოგიერთი პროცედურის ტექნოლოგიების გამოყენებით განსახორციელებელ ღონისძიებებს, პენიტენციურ დაწესებულებებში მყოფი ამომრჩევლების და სტაციონარულ სამკურნალო დაწესებულებებსა და იზოლაციაში (კარანტინი, თვითიზოლაცია) მყოფი ამომრჩევლების არჩევნებში მონაწილეობის უზრუნველყოფის საკითხებს.

ტრენინგი კითხვა-პასუხის რეჟიმში წარიმართა, მონაწილეებმა მიიღეს ამომწურავი ინფორმაცია მათთვის საინტერესო საკითხების შესახებ.

სასწავლო კურსი მიზნად ისახავს ცესკოს კონტაქტ-ჰაბის ოპერატორების კვალიფიკაციის ამაღლების ხელშეწყობას, მათ მიერ არჩევნებთან დაკავშირებულ საკითხებზე დაინტერესებული პირებისთვის ამომწურავი ინფორმაციის მიწოდების სერვისის უზრუნველსაყოფად.

დამატებითი ინფორმაცია:

http://electionreforms.ge/geo/list/show/3243-treningi-tseskos-sainformatsio/satelefono-tsentris-operatorebistvis-II-etapi

http://electionreforms.ge/geo/list/show/3142-treningi-tseskos-sainformatsio/satelefono-tsentris-operatorebistvis-

http://electionreforms.ge/geo/list/show/3248-treningi-tseskos-kontaqt-habis-operatorebistvis-II-etapi-statistika-2021

http://electionreforms.ge/geo/list/show/3144-treningi-tseskos-sainformatsio/satelefono-tsentris-operatorebistvis-I-etapi-statistika-2021